ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ხუტა მუკბანიანი

საფუძველი: 12/1320014-16 19.07.2013წ.

მისამართი: ჭიჭინაძის ქ. №6

საკ.კოდი: 01.19.23.015.002

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – AR149431 №185985 13.06.2013წ.

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი III კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (28.07.13) დადგინდა:

„ა-დ" ფასადზე ა-ბ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. ბ-გ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. შემცირებულია საჩრდილობლის გაბარიტი და შეცვლილია მისი კონფიგურაცია. ამავე მონაკვეთში სართულშუა გადახურვის არსებული ფილის მდებარეობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს. ბ-დ მონაკვეთში შეცვლილია პარაპეტის კონფიგურაცია. ა-ბ მონაკვეთში პარაპეტზე დამატებულია სარეკლამო აბრები.

„1-6" ფასადზე 2-3 მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრის ნახატი. 3-4 მონაკვეთში დამატებულია სავენტილაციო დანადგარი. 3-4 მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრის სიგანე 0.25 მ-ით. +2.82 ნიშნულზე ამავე მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირის ნახატი, ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი. 5-5 ღერძთან დამატებულია სავენტილაციო დანადგარი და მილები. 1-3 მონაკვეთში არ არის შევსებული სახურავის ძირი. ამავე მონაკვეთში ცოკოლზე მოწყობილია ორი მცირე ზომის სავენტილაციო ღიობი.

„6-1" ფასადზე არსებული ფანჯრების ნახატები არ შეესაბამება პროექტში აღნიშნულს და პროექტში არ არის ასახული აღნიშნული სავენტილაციო ღიობები.

„დ-ა" ფასადზე დ-გ მონაკვეთში მეტალო-პლასტმასის კარის ნაცვლად მოწყობილია რკინის, მის წინ შეცვლილია საფეხურების კონფიგურაცია. გ-ბ მონაკვეთში არსებულ ფანჯარაზე მოწყობილი გისოსი არ ფიქსირდება პროექტში. ბ-ა მონაკვეთში კარის წინ დამატებულია ერთი საფეხური, ბაქანზე მოწყობილია ლითონის სვეტები. ფასადზე დამატებულია გამწოვი და საკომუნიკაციო მილები. ბ-ა მონაკვეთში შემცირებულია +2.82 ნიშნულზე ასასვლელი კიბის საფეხურების რაოდენობა, კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის. გ-ა მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირების ნახატი. კაპიტალური საჩრდილობლის თავზე მოწყობილი დანადგარი და ცხაური არ ფიქსირდება პროექტში.

ფასადების ფერი არ შეესაბამება საპროექტოს.

+2.82 ნიშნულზე ლითონის მოაჯირის ქვეშ დამატებულია ბეტონის ბალიშები. 5-5 ღერძზე არ არის სრულად მოწყობილი მოაჯირი.

ტერიტორიაზე „დ-ა" ფასადის წინ განთავსებულია ჯიხური.

პროექტის ხარვეზი:

„ა-დ" ფასადზე ბ-გ მონაკვეთში კარის წინ არ არის მოწყობილი საფეხური, შესრულებულია ფასადის ნახაზის და რენდერის შესაბამისად.

„1-6" ფასადზე 2-3 მონაკვეთში ფანჯრის ღიობი შესრულებულია ფასადის ნახაზის შესაბამისად, ხოლო გეგმის ნახაზის მიხედვით შემცირებულია.

ბ. პაკელიანი

ლ. ცინცაძე